წელიწადი მეცხრე.—№ 407

პარასკევი, 18 იანვარს 1874.

# დროება

**გაზეთის ფასი**

გაგზავნით: ერთი წლით—ექვსი მან., ნახევარი წლით—სამი მ.ნ., სამი თვით—ერთი მან. და ხუთმეტი შაური, ერთი თვით—სამი აბაზი.

წერილები ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ:
Въ Тифлисъ, въ редакцію газеты „ДРОЭБА".

**ხელის-მოწერა**

თფილისში: გაზეთის „დროების" კანტორაში
ქუთაისში: ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

გაზეთი შემდეგი ადრესით უნდა დაიბარონ:
Въ Тифлисъ, въ контору газеты „ДРОЭБА".

რედაქცია: ძველი ინსტიტუტის ქუჩაზედ. სოლომონ მირიმანოვის სახლებში.

კანტორა: ივანოვის ბიბლიოთეკაში, სასახლის მეიდანზე, შაუროვის სახლებში.

**შ ი ნ ა ა რ ს ი:**

„დროების" განცხადება—უმაღლესი ტელეგრამმა—ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო: წმინდა ნინოს დღეობა—წვრილი ამბები—„დროების" კორრესპონდენცია: ქვირილიდამ—ბულაშიდამ—წიგნი რედაქტორთან—რ უ ს ე თ ი: წვრილი ამბები—უ ც ხ ო ქ ვ ე ყ ნ ე ბ ი: საფრანგეთი; პარიჟი, 6 იანვ. 1874 წ.—იტალია: ნინო ბიქსიო—ნ ა რ ე ვ ი—განცხადება.
ფ ე ლ ე ტ ო ნ ი: ქართველი ევროპაში, ს. მესხისა.

## „დროება"

1874-ში გამოვა იმავე პროგრამმით და იმავე პირების თანამშრომლობით, როგორც წელს გამოდიოდა.

ხელის-მოწერა მიიღება: ტ ფ ი ლ ი ს ს—„დროების" კანტორაში, ივანოვის ბიბლიოტეკაში. ქ უ თ ა ი ს ს—ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოტეკაში.

გარეშე მცხოვრებთ შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ მოთხოვნილება:
Въ Тифлисъ, въ контору газеты „ДРОЭБА".

„დროება" ეღირება გაგზავნით: ერთი წლით—ე ქ ვ ს მანეთად, ნახევარი წლით—სამ მანეთად.

„კრებული" და „დროება" ერთად ეღირება გაგზავნით: ერთის წლით—ცხრა მანეთად და ნახევარი წლით—ხუთ მანეთად.

ვისაც შარშანდელი „დროების" ფასი არ შემოუტანია, ვთხოვთ, მალე გამოგზავნონ რედაქციაში.

## უმაღლესი ტელეგრამმა

ს. პეტერბურღი, 11 იანვარს 1874 წ.

**კავკასიის ნამესტნიკს.**

სასულიერო წესი ღვთისაწყალობრივი დაქორწინება საყვარლის ასულისა **ჩვენისა** მ ი ს ი ს ი მ პ ე რ ა ტ ო ნ ე ბ ი თ ი ს უ მ ა ღ ლ ე ს ო ბ ი ს დიდის კნეინას **მარიამ ალექსანდრეს ასულის**, მისს კოროლობით უმაღლესობას პრინც **ალფრედ** ედინბურგელთან, შესრულებულ-იქმნა დღეს, 3 საათს ნაშუადღევს; აუწყეთ ეს ერთგულთა ქვეშევრდომთა, რათა თანა-უგრძნონ მათ **ჩვენსა** სიხარულსა და შესწირონ ერთბამად გულითადი ვედრება უფლისა ღვთისადმი მ ა თ ი ს უ მ ა ღ ლ ე ს ო ბ ი ს სიმთელისა და კეთილდღეობისათვის და ღვთის-მიერისა კურთხევისათვის უმაღლესთა მ ა თ მეუღლეთა.

**ალექსანდრე.**

ამ ტელეგრამმაზედ დიდმა თავადმა კავკაზიის ნამესტნიკმა 12 იანვარს მიართვა მისს ი მ პ ე რ ა ტ ო რ ე ბ ი თ ს უ დ ი დ ე ბ უ ლ ე ს ო ბ ა ს ქვეშევრდომობითი მოლოცვა კავკაზიის ხალხთა და ჯართა. და ამაზედ დიდი თავადი მ ი ს ი ს უ დ ი დ ე ბ უ ლ ე ს ო ბ ი ს ა გ ა ნ 13 იანვარს შემდეგის მწყალობელი პასუხის ღირსი შეიქნა.

მადლობელი ვარ ოფიციალური მოლოცვისათვის; გადაეცი ყველას **ჩვენი** გულითადი მადლობა.

**ალექსანდრე.**

## საქართველო

### წმინდა ნინოს დღეობა

თფილისი, 14 იანვარს 1874.

საქართველოს ერისთვის დიდებულად მოსაგონია დღევანდელი დღე!

დღევანდელს დღეს საქართველოს ცხოვრება ძირიანად შეიცვალა! ხალხმა დაინახა, რომ მისი წინანდელი სარწმუნოება შეცთომილება იყო. იგი დაექვდა ამ დღეს თავის ღმერთების ძლიერებაზედ და ამ წამიდამ ახალი სწავლის თესლი ჩავარდნილი იყო მის გულში.

აი, როგორა ხატავს ისტორიკოსი ამ დაუვიწყარს შემთხვევას: „და აჰა ხვალისა დღე იყო ხმა ოხვრისა და სუყვირისა და ზარი საშინელი და გამოსვლა ერისა ურიცხვისა ვითარცა ყვავილთა ველისათა"...

გათენდა ეს საშინელი და გასაოცარი დღე: აღივსო ხალხითა ხელში დროშებით და სამკაულებით მთელი არე-მარე, სადაცა იდგა კერპი. მეფე მირიან და დედოფალი თავის დიდებული და ბრწყინვალე მხლებლებით დაბრძანდნენ მომზადებულს მათთვის ადგილზედ და შეიქნა კერპთ თაყვანის-ცემის ცერემონია. ამ დროს ერთი მშვენიერი, ახალგაზდა ქალი სდგას თავისთვის განზედ და ცხარის ცრემლით რაღაცას ევედრება ღმერთსა.

ეს ქალი წმინდა ნინოა განმანათლებელი საქართველოს.

რამდენიმე წამს უკან „აღსდგეს დასავლით ქარნი და ჰაერნი ღრუბელთა თანა ხილვითა საშინელითა და ხმითა ზარისა აღსახდელისა ქუხილისათა და მობერნა ნიავმან მზისა დასავლისამან სუნი ჯერკვალი სიმწარისა და სიმყრალისა. იხილა რა ესე სიმრავლემან ერისამან მათზედა მომავალად, მაშინ იწყეს სირბილად და შელტოლვად ქალაქთა და სოფელთა თვისთა. და ვითარ განიბნიეს იგი ყოველნი, მეყსეულად მოიწია რისხვისა იგი ღრუბელი, მწარედ სასტიკი და მოიღო სეტყვა სწორი ქვისა და შემუსრნა კერპნი იგი. ხოლო წმინდა ნინო ეგო უვნებელად დაცული ადგილსა მასვე, სადა იგი პირველ შესრულ დამდგომარე იყო."

ამ ნაირი სიტყვებით მოგვითხრობს სა-

## ფელეტონი

### ქართველი ევროპაში

(ხამი მგზავრის შენიშვნები და ფიქრები.

VII

**პარიჟი.**

პარიჟის პირველ დანახვას, იმის ნიადაგზე პირველი ფეხის დადგმას გამაშტერებელი და ჩამაფიქრებელი ზედმოქმედება აქვს კაცის გონებაზე. თვალი ხედავს ზღაპრის ქალაქივით თვალ-უწვდენელ ქალაქს, დაუბოლოებელ, სწორ ქუჩებს, კოშკებივით ამაღლებულ ექვს და შვიდ ეტაჟიან სახლებს და ამ სახლებს ზევით კიდევ იმათზე უმაღლესს ეკკლესიებს, კოშკებს და ძეგლებს. გული გრძნობს, რომ შენი ფეხი დგას ისეთს ნიადაგზე, რომელზედაც რამდენსამე ასს შთამომავლობას უცხოვრია, უმოქმედნია, რომელზედაც რამდენიმე რევოლიუცია მომხდარა; გრძნობ, რომ ყოველი ნაბიჯი ამ ქალაქის მიწისა საფრანგეთის თავისუფლებისთვის დაღვრილ სისხლით არის მორწყული; გრძნობ, რომ შენ ხარ იმ ნიადაგზე, იმ ქალაქში, რომელიც არის ერთსა და იმავე დროს თავი და გული მთელი საფრანგეთისა, სადაც სცემს მაჯა პოლიტიკური და სოციალური ცხოვრებისა; უნებურად წარმოგიდგება თვალ წინ პარიჟის წარსული ცხოვრება, იმის ხალხის ბრძოლა, იმის მუშის თავშეწირულება, იმის მოწინავე კაცებისა და მეცნიერების გავლენა მთელი ქვეყნის გონებითს ცხოვრებაზე,—და ყველა ეს აზრები ისეთ ნაირათ გაგიტაცებენ, ისეთ ნაირათ შეგიპყრობენ, რომ შტერდები და ძარღვების უნებური ცახცახი მოგდის.

მე არ ვიცი, რა ემართებათ და როგორი გრძნობით შედიან მაჰმადის თაყვანის-მცემლები თავის წმინდა ქალაქს—მაბაში; მაგრამ მგონია, რომ იმათი გრძნობა ძალიან უნდა გავნდეს აღმოსავლეთიდამ პარიჟში პირველად შემომავალი კაცის გრძნობასა!

ახირებული აზრი გვაქვს შედგენილი ჩვენ ყველას, ვინც ჩვენებური წიგნებით გამოვზრდილვართ, „ეხლანდელ" პარიჟზე და იმის ცხოვრებაზე. ყოველი მხრით გვესმის ჩვენ მანდ, რომ პარიჟი ისეთი ქალაქიაო, ისეთი გაგიჟებული ცხოვრება არის იქაო, იმდენ ნაირი გასართველი, დროს დასაკარგავი და მიმზიდველი რამეები იპოვებაო, რომ არა თუ სწავლა, მოსვენებით ცხოვრება და საზოგადოთ გულ-დამჯდარი შრომა იქ შეუძლებელი საქმეაო.

ეს თავიდამ ბოლომდი შემცდარი და ცრუ აზრია. რასაკვირველია, დროს დასაკარგავი და გასართველი რამეები, როგორც საზოგადოთ სხვა ქალაქებში, პარიჟშიაც ბლომათ მოიპოება. მაგრამ ვისაც შრომა უნდა, ვინც სწავლის შესაძენად მოსულა, ვისაც მოსვენებული ცხოვრება სჭირია, დარწმუნებული იყოს, რომ, თუ სადმე სხვა ალაგას მონახავს ყველა ამას, პარიჟში მომეტებულს თუ არა, ნაკლებად ვერ ნახავს.

ამ მხრით ერთი გარემოებაა პარიჟში შესანიშნავი: ყველა დროს გასატარებელი ადგილები და სხვა რამები, როგორც მაგალითად: თეატრები, ათასნაირი ბალები, საღამოები, კანცერტების და სხვა ამგვარები პარიჟში ისე ძვირად ღირს, რომ თუ კაცს კარგი საშუალება არა აქვს, იმათ გამოყენებას და იმათში გართვას ძალიან იშვიათად შეიძლებს. წინააღმდეგ ამისა, თითქმის ყველა უმაღლესი სასწავლებლები, ყველა ლექციები, ბიბლიოთეკები, წიგნები, გაზეთები და სხვა გონების შემამუშავებელი და გამხსნელი საშუალებანი ან სულ მუქთი და ან ძალიან იაფი არიან ასე, რომ ძალიან ღარიბ კაცსაც შეუძლიან იმითი სარგებლობა, თუ კი, რასაკვირველია, სურვილი ექნება. ვისაც ცუღლუტობა, დროს დაკარგვა და ფულების ფლანგვა უნდა, იმას ეს ყველგან შეუძლია და პარიჟში კი, მართლა, ყველაზე უკეთესად და უფრო მალეც....

მეკი ყველაზე უფრო პარიჟში პოლიტიკური ცხოვრება მიმიზიდავს. ... ჩახედეთ რა ქვეყნის გაზეთშიაც გნებავთ: რომელი ხალხის პოლიტიკური ცხოვრების აწერას უჭირავს მომეტებული ალაგი? რასაკვირველია, საფრანგეთისას და არა გერმანიისას, რომელიც უკანასკნელი ომის შემდეგ მუდამ ტრაბახობს, რომ ევროპაში პირველი ალაგი მე მიჭირავსო.

ეს გარემოება გასაკვირველიც არ არის. თქვენ იცით, რომ ეხლა პარიჟში, ანუ უკეთ ვსთქვათ, ვერსალში, წყდება ისეთი კითხვა, რომელსაც, საფრანგეთის მომავალზე, მის პოლიტიკურ ცხოვრებაზედ დიდი გავლენა ექნება.

საზოგადო ისტორიაში და განსაკუთრებით საფრანგეთის ისტორიაში ერთი ყურადღების ღირსი მოვლენაა შენიშნული: ყოველთვის, რევოლიუციის შემდეგ, როდესაც მოქანცული, დაღალული ხალხი რომელსამე ერთ პარტიას მიენდობა და იმას ჩააბარებს თავის ბედის გამგეობას და თავის ქვეყნის მმართებლობას, ეს პარტია, ცოტა ხნის შემდეგ, თითქმის იმნაირათვე იწყებს მოქმედებას, იმნაირათვე ართმევს ხალხს იმ თავისუფლებას, რომლისათვისაც იმან იმდენი სისხლი დაღვარა, როგორც წინანდელი, გარდაგდებული მმართებლობა. ერთი სიტყვით, რევოლიუციის შემდეგ, ჯერ-ჯერობით, თითქმის მუდამ რეაკცია, უკან დაბრუნება, ძველი წესების განახლება და ისევ ხალხის შევიწროება იწყება.

რასაკვირველია, ეს კანონი არ არის. იმ დღეს, როდესაც ხალხი თავის ნამდვილ მომხრეებს გაარჩევს პირ-მოთნე და მოღალატე პირებში, იმ დღეს, როდესაც ხალხი, რევოლიუციის მოხდენის შემდეგ, თვითონვე დაესაკუთრება თავის საქმეებს,—იმ დღეს ეს თითქო კანონი მოისპობა და ხალხი იგრძნობს თავის სისხლის ღვრის ნამდვილ სარგებლობას და შედეგს.

მაგრამ ეხლა კი, ჯერ-ჯერობით, ასეა: რევოლიუციის შემდეგ, ხალხის ბედი ისევ ხალხის მტრებს, მხოლოდ თავის პიროვნულ სარგებლობაზე მზრუნველებს უვარდებათ ხელში, და იწყება რეაკცია. ა ე მოხდა 1793 წლის დიდი რევოლიუციის შემდეგ, ასე მოხდა 1830 წლის (ივლისის) რევოლიუციის შემდეგ, ასე მოხდა 1848 წლის (თებერვლის)

ქართველთა ისტორიკოსი, მეფის ძე Თეიმურაზ, ამ ჩინებულს შემთხვევას.

ჩვენ იმის გამოკვლევაში არ შევალთ ეხლა, რამდენათ ნამდვილია ყველა ეს საქმე. მაგრამ წმინდა ნინოს წყალობით რომ საქართველოს ხალხმა ახალი სჯული მიიღო, ეს კი უდავოა. Იმ დღიდამ დაიწყო გავრცელება ხალხში ახალის სარწმუნოებისა, ახალის აზრებისა. Ახალმა სწავლამ შეაერთა საქართველოს ხალხი ერთ სახლობათ და დაჰბადა მასში ერთი მეორის შეწევნის სურვილი, სიყვარული, სამართლიანობა! შეიარაღებული ბუნებით, სიმხნითა, თავისუფლების სიყვარულითა და ისეთი კეთილშობილური აზრებითა, როგორიც ჩვენს სჯულშია, საქართველოს ხალხი გასაოცარის სიმტკიცით და გონიერებით უმაგრდებოდა საუკუნოების განმავალობაში ურიცხვი მაჰმადიანი მეზობლების გავლენას. Ამ ერთი მუჭა ხალხმა შესძლო დაცვა თავის ქვეყნის თავისუფლების და სარწმუნოების ათას ხუთასს წელიწადს! მხოლოდ ჩვენს საუკუნეში ჩააბარა Გიორგი მეფემ უმანკოთ დაცული საქართველოს ხალხის თავისუფლებაც და სარწმუნოებაც რუსეთის ხელმწიფეს.

Ამდენი ხნის წარმოუდგენელად უძლიერეს მტრებთან ბრძოლა, წინააღმდეგობა, განა არ ამტკიცებს, რომ საქართველოს ხალხის ბედს კარგი მომავალი უნდა მოელოდეს!......

მეველე.

## ᲬᲕᲠᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ.

— Გუშინ Ქუთაისის მაზრის სამსაჯულოს განუხილავს აპპელაციის წესით ნ. ნიკოლაძის საქმე და მომრიგებელი მსაჯულის გარდაწყვეტილება დაუმტკიცებია.

— Ამ თვის ოცდა ერთს, ორშაბათს საღამოს, Თფილისის საზამთრო თეატრში ქართული სცენის მოყვარენი არდგენენ: „ძალათ ექიმს“, Გ. Ერისთვის კომედიას, და „ჯერ დაიხოცნენ, მერმე დაქორწინდნენ“ რაფ. Ერისთვის კომედიას.

Ქართული წარმოდგენა ისე იშვიადად არის, რომ იმედია ბევრნი იქმნებიან ამ წარმოდგენებზედ, მეტადრე ამ შემთხვევაში, როდესაც შეკრებილი ფული სახელოსნო შკოლას უნდა მოხმარდეს.

## „ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ

Დ. Ყვირილა. 28-ს დეკმ. 1873 წ.

სამ კლასიან ანუ ოთხ კლასიან სასწავლებელზე არას ვიტყვი. მე საუმჯობესოდ ვრაცხ, მკითხველო, შეგაქციო სოფლის შკოლებზე ამბების კითხვით, Არ ვიცი რომელი შკოლიდამ დავიწყო. Ამ უეზდში სახალხო შკოლები გახსნილი იყო ხუთ ადგილას: Კაცხში, ხარაგაულში, შორაპანში ჩხარში და საქარაში. Ამ სახალხო შკოლებისათვის სახელმძღვანელო წიგნებიც გამოიწერეს არა მცირე, რუსულ ენაზე... Ყველა ამ შკოლებში ბავშვები სამოცამდისინ იყვნენ შეკრებილნი. სამს მამასახლისს, შორაპნისასს, კაცხისას და ხარაგაულისას მადლობა მოუვიდათ მთავრობისაგან შკოლების გახსნისათვის. Უკანასკნელს მამასახლის, თურმე ტყუვილა მოუვიდა მადლობა, შკოლა მას არასოდეს არ ქონებოდა და არც აქვს!... Ეს ამბავი წინეთ „დროებაშიაც“ იყო დაწერილი. მე ძლიერ მეშინოდა, ვაი თუ სხვა მამასახლისებმაც წაბაძონ ხარაგაულის მამასახლისს და შკოლების გახსნა აღარ ეძებონ. ხარაგაულის მამასახლის, რასაკვირველია, ჩამოართვეს უკანვე მადლობა, რადგან მას შკოლა არ ქონებოდა გახსნილი, თუმცა ქაღალდების მიწერ-მოწერაში კი იყო იქნება!... მართლა სხვა მამასახლისებმაც მას წაჰბაძეს და სადაც იყო შკოლები ისინიც კი დაიკეტა, არათუ სხვა გაეხსნათ. შესანიშნავი თავის მასწავლებლით კაცხის საზოგადოების შკოლა დაიკეტა, თუმცა ქაღალდების მიწერ მოწერაში კია ჯერეობით გახსნილი. მწერალი და მასწავლებელი ამ საზოგადოების ოცდა ათ თუმნამდის უკლებლად იღებსო. შორაპნის საზოგადოების სახალხო შკოლაც დაიხურა. Ამათ წაბაძეს რასაკვირველია საქარის საზოგადოებამ და ჩხარისამ და დღეს ამ უშველებელ უეზდში ერთი სახალხო შკოლა აღარ არის. Აზნაურები გლეხებს მიჩერებიან, იქნება მათ გახსნან შკოლაო, ჩემს შვილს იმაში შევიყვანო, და გლეხები აზნაურებს მიჩერებიან!...

Ერთი საზოგადოება არ არის ისეთი, სადაც მრთელი სოფლის ყრილობის გადაწყვეტილება არ იყოს შედგენილი, რომ იგინი ვალდებულნი არიან შკოლა გახსნან და მასწავლებელიც დაიქირაონ. მაგრამ ვინ არის ამ ყრილობის განჩინების სისრულეში მომყვანი? საზოგადოებას ეუბნებიან, თუ ვსურსთ შკოლები გახსენითო. საზოგადოებამ სწავლის გემოვნება არ იცის. Ისინიც ამბობენ არ შეგვიძლიანო და აღარავინ არაფერს არ ამბობს. შორაპნის უეზდის ნაჩალნიკმა, როგორც ამბობენ, ერთი ქაღალდი გაუგზავნაო ამის თაობაზე მთავრობას. Იმ ქაღალდში ის სხვათაშორის ამბობდა: ყოველი მამა, რომელიც თავის შვილს ეუბნება, თუ გსურს ისწავლეო და თუ არა მე არ დავეძებო, არ არის კეთილი მამაო და არც კეთილი სურს მას შვილისთვისო. Ის მამა რომელიც შვილს უცოდინარობის დროს ძალით ასწავლის, კეთილი კაციაო. Ამისთანა მამას, გავს, კეთილ-დღეობა სურს თავის შვილისაო. Ეგრეთვე ჩემის აზრით მთავრობა უნდა მოექცეს გლეხებსა. ძლიერ მშვენიერი აზრი წარედგინა ამას. ხალხში დიდი სურვილია სწავლის და შკოლების, მაგრამ ერთ სოფლის ყრილობაში ისეთი საძაგელი გესლიანი ენის გამოვა ერთი-ორი კაცი, რომ მრთელი საზოგადოების სურვილს აფუჭებს.

Ეხლა ჩვენში თუ არის აქა-იქ სამრევლო შკოლები ზოგი აქვს პრიჩეტნიკებს გახსნილი და ზოგი ღვდლებს. Ამ შკოლებიდამ არა ვითარი სარგებლობა არ გამოდის ზარალის მეტი. Ღვდელს თუ აქვს იმ აზრით, რომ ორ სამ თვეს შემდეგ ჯილდო, ნამედრენიკი ანუ სკუფია მიიღოს და არა ამისთვის, რომ წერა კითხვა გაავრცელოს ხალხში. Აქ ხმა არის დაყრილი, რომ თუ პრიჩეტნიკმა შკოლა გახსნა და რამოდენიმე ბავშვებს ლოცვები ასწავლა მთავარ-დიაკვნად ეკურთხებაო. Ამის გულისათვის ზოგი პრიჩეტნიკი ქირაობს კაცს, ხსნის შკოლას და ასწავლის რამოდენიმე ბავშვებს იმ აზრით, რომ კურთხევა მიიღოს. მე რომ მკითხოს კაცმა ამისთანა პრიჩეტნიკები არა თუ ღირსნი არიან კურთხევის, პრიჩეტნიკობის თანამდებობიდამაც უნდა იყვნენ დათხოვილნი. რისთვის, იცით მკითხველო? პირველად მისთვის, რომ ისინი სამუდამოთ აფუჭებენ ბავშვებს ცუდი სწავლებით, გარდაცემით და მეორედ მისთვის, რომ ხალხს ამისთანა საძაგელი და უსარგებლო შკოლების მიხედვით გული უგრილდება საზოგადოდ შკოლებზე. Ეს არ შეიძლება სთქვას კაცმა ისეთ ღვდლებზე, რომელნიც ნასწავლნი არიან და შეუძლიათ ახალი მეტოდით სწავლება. მაგრამ ამისთანა ერთი-ორი იქნება ამ უეზდში.

საზოგადოებაში იმდენათ არის სწავლის სურვილი, რომ ზოგან თითო ოჯახი ქირაობს მასწავლებელს და ცოლშვილთან მიყავს თავის სახლში. მაგრამ აქაც ძლიერ სტყუვდება საწყალი ხალხი. Ერთმა Კვალითელმა აზნაურის-შვილმა დაიქირავა ერ-

---

რევოლიუციის შემდეგ და ასე ხდება ეხლაც, გერმანიასთან ომის, ნაპოლეონის გადაგდებისა და კომმუნის არეულობის შემდეგ.

Ვის ხელშია ეხლა საფრანგეთის ბედი?

Იმავე პირების ხელში, რომელთაგან განთავისუფლებას, რომლის გავლენის მოსპობას ასე სცდილობდა საფრანგეთის ხალხი.

Რას შვრებიან, როგორ იქცევიან ეს პირები?

Ეხლანდელი კონსერვატორული უმეტესობა ვერსალის ნაციონალური კრებისა სწორეთ ისე იქცევა, სწორეთ იმ გზაზე დგას, სწორეთ ისე ავიწროებს ხალხის თავისუფლებას, როგორც ადრინდელი, გადაგდებული ნაპოლეონის მმართებლობა, ასე რომ მონარხიული გაზეთები და განსაკუთრებით ბონაპარტიული ტაშს უკრავს და ალტაცებით შეჰყურებს ყოველ იმის მოქმედებას.

Ჯერ ერთობ ბევრი მოინდომეს: ისეთი წესების, ისეთი მეფობის (შამბორის) განახლება, რომელიც წარსულ საუკუნეში, 1789 წლამდი, არსებობდა საფრანგეთში. მერე, რადგანაც, რესპუბლიკური პარტიის წყალობით, ეს ვერ მოახერხეს, ისეთი უმნიშვნელო, უნიჭო და პოლიტიკურ საქმეებში უმეცარი კაცი (მაკ-მაჰონი) დასვეს რესპუბლიკის პრეზიდენტად, რომლის ხელშიაც რაც უნდათ, იმას იზმენ, როგორც უნდათ, ისე იმოქმედებენ და ატრიალებენ საფრანგეთის საქმეებს.

Ამათი განზრახვის კვალი ახლავე სჩანს:

Თუმცა ამ ორი წლისა და ნახევრის განმავლობაში საფრანგეთი წყნარათ და მშვიდობიანათ ცხოვრებს, მაგრამ ამითი მაინც უმეტესი ნაწილი ამ მშვენიერი ქვეყნისა სამხედრო მდგომარეობაში ჰყავთ და თუ სადმე ფაჩუნი გაიგონეს, ჰყვირიან: არ იქნა, რევოლიუციაო! და ყველა კანონის მიუხედავათ ატუსაღებენ მოქალაქეებს და სპობენ გაზეთებს.

Ეხლა ამზადებენ ისეთ კანონს, რომლის ძალით ქალაქების და სოფლების მერები (გამგეობის უფროსები) ხალხისაგან ამორჩეული კი არა, მთავრობისაგან დაყენებული უნდა იქნესო.

Ამზადებენ ბეჭდვის შემავიწროებელ კანონებს.

Უნდათ ერთ ნაწილს ამომრჩეველებს ყოველი მოქალაქის უძვირფასესი უფლება— დეპუტატის ამორჩევის უფლება—წაართვან და სხვ. და სხვ. Ერთი სიტყვით, ყოველ მათ მოქმედებაში, ყოველ განკარგულებაში ის განზრახვა სჩანს, რომ მათ ჰსურთ, ხალხს ხელები და პირი შეუკრან და სრულ ბატონათ გახდნენ.

VIII

(გაგრძელება.)

Წარმოიდგინეთ ანჩხლი დედამთილის პატრონი პატარძალი, რომელიც დროებით მოშორდა იმის განუწყვეტელ თვალ-ყურის დევნას, იმის სისასტიკესა და მბრძანებლობას და წავიდა სადმე სტუმრათ, რომ იქ რამდენიმე დრო მაინც უფრო თავისუფლად, დამოუკიდებლად და კვალში ჩაუდგომელად გაეტარებია. Წარმოიდგინეთ ის უსიამოვნო გრძნობა, რომელიც აღიძრევა ამ საცოდავი პატარძლის გულში, როდესაც ჰხედავს, რომ დედამთილიც უკან გამოსდევნებია იმას და თავის ერთის შეხედვით და ყოფაქცევით აგონებს იმ უსიამოვნებას და სატანჯელს, რომელიც სულს უწუხებდა იმას შინ და რომელსაც გამოექცა.

Სწორეთ ამგვარ უსიამოვნო მდგომარეობაში ვგრძნობ მეც ჩემ თავს... Აქეთ რომ მოვდიოდი, სხვათა შორის, მე ის ნუგეშიც მქონდა, რომ: „აჰა, მადლობა Ღმერთს, რამდენიმე თვით მაინც მოვშორდი იმ პირებს, იმ საქმეებს და ინტერესებს, რომელნიც მუდამ გულს მიწყლულებენ, რომელნიც მუდამ ჩემ სიმცირეს და „ჩვენ“ გაჭირვებულ მდგომარეობას მაგონებენ, მეთქი.“ Ვფიქრობდი: „იმ უცხო, მშვენიერ ქვეყანაში დროებით მაინც შევისვენებ და აღარ დავინახავ სხვა და სხვა ისეთს პირებს და მოვლენებს, რომელთაც მომაკვდინებელი ზედ მოქმედება აქვთ ჩემზე, მეთქი“.

Საუბედუროთ, ეს ჩემი განზრახვა არ შესრულდა.

Ჩავჯექი თუ არა Ფოთს ხომალდში, გავიხედე და ერთი პ.........ი მომადგა, რომელსაც Თფილისში ვიცნობდი და აქ სრულიადაც არ მინდოდა გამოვცნაურებულვიყავ. ჩვეულებრივი „გამარჯობა“ „გაგიმარჯოს“ შემდეგ, ის მომიჯდა გვერდით და მკითხა:

— Თქვენ საითკენ?

— Ვენაში.

— Გამოფენაზე?

— Გამოფენაზე.

— ძალიან კარგი, მეც იქ მივდივარ. მერე იქიდამ აპირებთ სადმე?

— Პარიჟში.

— Კიდევ უკეთესი: მეც პარიჟში. მაშ ჩვენ თანამოგზაურები ვყოფილვართ. ძალიან კარგია გზაში თანამოგზაურის ყოლაო!... Დაიწყო და როგორც მოგეხსენებათ ზოგიერთი ლაპარაკის მოყვარული თანამოგზაურების ამბავი, მოჰყვა წილადობილასა და უკანასკნელი ერთი საათი გაუწყვეტლივ იჭიკჭიკა.

— Წავხდი კაკალი კაცი, ვიფიქრე ჩემს გულში. Თუ ეს კაცი ვერ მოვიშორე თავიდამ, სულ მამიწამლავს მეთქი ჩემი სამზღვარ გარეთის მოგზაურობის სიამოვნებას.

Მე ამოვიღე პატარა საკიდამ რაღაც წიგნი, რომელიც გზაში საკითხავად მქონდა წამოღებული, და თან იმას ნელ-ნელა დავუწყე შლა და თან ჩემ მესაუბრეს შევცქეროდი თვალებში იმნაირი შეხედულობით, რომ იმან ბოლოს, როგორც იყო, გაიგო, რომ მე იმის ლაპარაკის არა მესმოდარა და მსურდა თავიდამ მომეშორებინა. Ის იმწამსვე ადგა და ვიღაც მეორე ნაცნობს მიუჯდა გვერდით.

Მას აქეთ, Ოდესამდი, თუმცა ერთ ხომალდზე ვმოგზაურობდით, მაგრამ ორიოდ—სამიოდ „სახაზინო“ სიტყვას თუ ვესროდით ერთმანეთს, მაგალითად: „როგორა ხართ? ხომალდის რყევამ ხომ არ შეგაწუხათო?“ თორემ სულ ცალ-ცალკე ვიყავით.

Ოდესაში, როგორც იყო, დავახწიე იმისაგან თავი: მე გავიპარე ხომალდიდამ ჩუმათ, მარტო დავიჭირე სასტუმროში ნომერი (პირობა მომცა, რომ Ოდესსაში ერთად დავი-

თი მასწავლებელი რომელიც ამბობდა თურმე, რომ მე დიდი ნასწავლი ვარო და ეს არის თბილისის ქალაქიდამ მოვდი-ვარო. გამოჩნდა ბოლოს, რომ რკინის გზაზე მებუტკეთ ყოფილა, მაგრამ გამოურიცხავთ!..

ეხლა გავიგე, როგორც დამარწმუნეს, რომ 31 ამ დეკემბერს უნდათ თავის შეყრა, ვინც ნასწავლი თანამდებობის ღვთის მოყვარე და მდაბალი ხალხის შემბრალე კაცია. ზოგიერთი ქუთაისიდამ მოდის და სხდომა ექნებათ დაბა ყვირილაში უ. ყიფიანის სახლში. აქ, როგორც ამბობენ, ბაასი ექნებათ შკოლების თაობაზე და საზოგადოდ იმაზე, თუ როგორი გზით გაავრცელონ მდაბალ ხალხში წერა-კითხვა. ორ ადგილას თუ არა ერთ ადგილას აპირობენ შკოლის გახსნას და თავის ხარჯით მასწავლებლის დაქირავებას. ამ შეკრებილებაში არავინ არ ერევა ისეთი, რომ არ იცოდეს ჩვენი გაჭირვებული ხალხის ამბავი და შკოლების სარგებლობა. დღემდის ამისთანა უნუგეშო მდგომარეობაშია ჩვენი შკოლების საქმე და შემდეგ არ ვიცი რა იქნება. იმედი მაქვს მცირეს ხანში გავაგებინოთ „დროების" მკითხველებს, თუ რა მოლაპარაკება იქნება ამ შეკრებილებაში და სხვანი.....

X.

## წერილი რედაქტორთან

ბაუმარჯოს ლიტერატურას, მომილოცავს ახალი წელიწადი, უფალო რედაქტორო, ღმერთმან მრავალს დაგასწროსთ! ამ მოლოცვასთან ერთი რამ უნდა ვიკითხო:

ჩვენი დაუბოლოებელი და სანატრელი ბანკი ნუ თუ ამ ახალმა წელიწადმაც არ გააღვიძოს და კიდევ ხანგრძლივს ძილში მიეცეს! ვინა გვყავს გულის შემატკივარი და მსურველი მისის გამოღვიძებისა? ნუ თუ არ სჭირიან ჩვენს დიდათ დაცემულს მხარეს ესრეთის წყაროს გამოჩენა და აღდგინება საწყალის ხალხისა? ნუ თუ არა ჰფიქრობენ ჩვენნი თანამემწენი და მოაზრენი, რომ არ ჩავეყარნეთ სამზღვ რს გარეთელ ბანკირების ხელში და ჩვენ ულუკმა-პუროთ არ დავრჩეთ? დრო არის ბატონებო, იფიქრეთ და შეუდექით განსჯას საწყალი მდაბალი კაცების ცხოვრებისას და მოჰკიდეთ ხელი იმ სასარგებლო საუნჯეს, რომელიც გამოგვიხსნის ზოგიერთი გასაჭირისა და შევიწროებისაგან. ნათქომია,მაძღარს ხუცესს დიაკონიც მაძღარი ეგონაო, სწორეთ ესრე გახლავს ჩვენი საქმე. აქ ზოგიერთები კი ძრიელ მაძღრები გახლავან და ზოგიერთები კი ასეთი მშიერები, რომ უნდოდესთ, შინიდგან გარეთ ვერ გამოდიან ხოლმე, რომ არა ვინ გვიძრახოსო.

ქუთაისელი ქალი.

8 იანვარს, 1874 წელსა.

---

ს. ქულაში, 6 იანვ. 1874.

ერთ გაჭირვებულ გლეხს სამუშაოთ ჰქონდა აღებული თურმე თავის მეზობლის თავადის მიწები; დადგა თუ არა ერთგული გლეხი, შეუდგა მოსავლის მოგროვებას. ამ დროს მეორე მეზობლად მოსახლე თავადმა ყანის ღობე გა ტეხინა და პირუტყვი ჩამოუშვა. გლეხი გამწარდა, როდესაც შეხედა, მის ნაჭირნახულევს ცხენები და ღორები რომ აოხრებდენ. დიდის გასაჭირით და ქაქანით გადადენა მან ეს პირუტყვები. ამ დროს პატარა ბოვშვი მორბის და ეუბნება, დედას მუცელი ეტკინა და კვდებაო; გლეხი სტოვებს ყველაფერს და გარბის სახლისკენ. ცოტას ხანს უკან აქაც მიუდის ამ ბედშავს მეზობელი გლეხის ექვსი წლის ელჩი და ახარებს: „ყანაში პირუტყვმა გაათავა ყველაფერიო. გლეხი გამორბის ყანისკენ გაცეცხლებული დაბლავის: „დავიღუპეო" და ცრემლები ლოყებზედ ჩამოდის. ის დაედევნება ხან ცხენს, ხან ღორს. მაგრამ ამათ ისე გატკბობოდა სიმიდის ჭამა, რომ ვერაფერით ველარ მოიშორა კალოდგან; უკანასკნელად გლეხი იღებს წალდს და ესვრის ერთ უვრო მსუნაგ მაჭმადისგან დაწყევლილს პირუტყვს; საუბედუროთ, ღორის მაგიერათ ცხენს მოხვედრია წალდი. მებატონე ავარდნილ-დავარდნილა. შეჰპირებია გლეხს ციმბირი, დახვრეტა და სხვა სასჯელი. გლეხს გაუკეთებია კარგი ძღვენი, მოციქულებით ჩასულა თ. პ—თან და უთხოვნია, რომ დანაშაულობა მიეტევოს; ცხენსაც მე მოვარჩენინებო, არც მაგდენი რამე დაზიანებულიაო. თავადი დათანხმდა ამ პირობაზედ ბევრიც იქეიფა თურმე გლეხის მოტანილ ძღვენითა და შეპირდა, მოწმეებთან, რომ აღარ უჩივლებო.

დღეს ეს საპატიო კაცი სჩივის გლეხზედ, რომ ცხენი დამიჩეხაო. ამფერუმ ნამუსო, აფერუმ პირო!

მ—ძე.

---

## რუსეთი

— რუსული ენისა და რუსული განათლების გასავრცელებლად ბალტიის ზღვის ნაპირა გუბერნიებში, საცა უცხო ტომის ხალხი (ესტები, ლატიშები და გერმანიელები) სცხოვრებს, სახალხო განათლების მინისტრს გადაუწყვეტია, რომ რეველის ქალაქში სამკლასიანი საქალებო პროგიმნაზია გაიხსნას.

— გაზეთებმა მოგვიტანეს უმაღლესი მანიფესტი და ბრძანება უმართებელესის სენატისადმი ახლად დამტკიცებულის საყოველთაო სამხედრო სამსახურის წესდების სისრულეში მოყვანაზედ. წესდების შინაარსს შემდეგ ნომერში ვაცნობებთ ჩვენს მკითხველებს.

---

## უცხო ქვეყნები

პარიჟი, 6 იანვარს 1874.

პარიჟი ქეიფობს. შობა ახალ-წლის დღესასწაულმა დროებით დაავიწყა იმას თავის საზოგადოებრივი და პოლიტიკური საქმეები. ამ ორი კვირის განმავალობაში მუდამ დღე და ყოველ ღამე თეატრებში, კაფეებში, კაფე-შანტანებში, ბალებზე, ბალ-მასკეებზე დაიარება და ისე ერთგულად, თავის დაუზოგველად ატარებს დროებას, ქეიფობს და თამაშობს, როგორც რევოლიუციის დროს მოქმედებს....

ამ მხრით მართლა ძლიერ შესანიშნავია ფრანცუზის ხასიათი: ყოველ საქმეს, რასაც კი ფრანცუზი მოჰკიდებს ხელს, ორივე ხელით მოჰკიდებს, ყველაფერს ალტაცებით, მთელი გულით და გრძნობით მოეკიდება, და სანამ სისრულეში არ მოიყვანს, სანამ ისე არ გაარიგებს, როგორც თვითონ ჰსურს, მანამ მუდამ ფაფხურობს, მუდამ მოძრაობს, მუდამ მოუსვენარია. არც ერთ ხალხს არ დაუღვრია, მგონია, დედა-მიწაზე იმდენი სისხლი, არცერთ ხალხს არ უბრძოლია იმდენი თავის შინაგან და გარეშე მტრებთან, რამდენიც ფრანცუზებსა.

ბრძენ ფილოსოფოსებს, „დამჯდარ„ არსებებს ფრანცუზის ამგვარი ხასიათი ნაკლულევანებად, დაუდეგრობის და მოუსვენრობის ნიშნად მიაჩნიათ. მე კი რომ მკითხოთ, ეს ნაკლულევანება კი არა ღირსებაა ფრანცუზის ბუნების, ღირსებაა ამიტომ, რომ ეს მუდამ მოძრაობა, მუდამ ბრძოლა, მუდამ მოუსვენრობა ფრანცუზის სიცხოველეს და ახლანდელი საფრანგეთის წყობილების

---

ჭიროთ ნომერით და იქიდამაც ერთად ვიმოგზაუროთო) და იქიდამაც უიმისოთ გამოვწიე ვენისაკენ და ვენიდამ პარიჟში. ერთი სიტყვით, დარწმუნებული ვიყავი, რომ ამ კაცის ხილვის ბედნიერება მე ისევ თფილისში მეღირსებოდა და არა სამზღვარ გარეთ.

მაგრამ, აკი გაუწყრა ღმერთი, და პარიჟშიაც არ მომნახა! ერთს საღამოს მე და ერთი ფრანცუზის სტუდენტი Boulevard des Italiens-ზე დავეხეტებოდით და სხვა და სხვა მაღაზიებში მშვენიერი ხელობის გამოფენილ ნივთებს ვათვალიერებდით. უეცრათ უკანიდამ ნაცნობი ხმა მომესმა:

— Сергѣй Семенычъ! здравствуйте! Это вы!

მოვიხედე, ჩემი ნაცნობი პ......ი დგას, გამოჭიმული ევროპიულ ტანისამოსში და დიდის ალტაცებით შემომჩერებია, ჩვენ მხურვალეთ (!) ჩამოვართვით ერთმანეთს ხელი, ერთი ნახევარი საათი ვილაპარაკეთ ჩვენს მოგზაურობაზე, მერე ჩავაბარეთ ერთმანეთს ჩვენი კარტოჩკები და დავშორდით... ჩემ ბედს დავემორჩილე...

ერთხელ მე და ის ერთს სასტუმროში შევედით სადილის საჭმელად. თუმცა ძალიან კი არ მინდოდა, რომ ამასთან მევლო, რადგან ამის მოძმეებს აქ, პარიჟში, და საზოგადოთ სამზღვარს გარეთ სრულებით სხვა ნაირი სახელი აქვთ დავარდნილი, მაგრამ მეტი გზა არ იყო, უნდა მეჭამა იმასთან ერთად სადილი. ეს სასტუმრო ერთი საუკეთესოთაგანი სასტუმროა აქ და ამიტომ ჩვენ მაგდენათ მოწიწებით არ გვაქცევდნენ ყურადღებას. ეს გარემოება ჩემს პ.........ს ძალიან აწუხებდა; იმას არ მოეწონა, რომ მოსამსახურე ბიჭები სხვებზე მომეტებულ ყურადღებას არ აქცევდნენ და ისე ემსახურებოდნენ, როგორც იმის გვერდით მჯდომარე ვიღაც უბრალო ვაჭარს და ვინ იცის, იქნება, დახლიდარსაც. მაგრამ ხილის მოტანამდი საქმე მშვიდობით მიდიოდა, მხოლოთ ხანდისხან მრისხანეთ გადახედავდა garçon-ს, თითქოს თვალების ბრიალით უნდოდა შიში და კრძალვა ჩაერგო იმის გულში. ბოლოს დესერტი მოგვიტანეს. ის იყო პ....მა გასწია ხელი მტევნის ასაღებად, ამ დროს მოვარდა მეორე ბიჭი, აგვაცალა ხონჩა და ვიღაცა სხვას მიართვა მეორე სტოლზე. პოლკოვნიკი სრულიად გაფითრდა; ამისთანა უზრდელობისაგან გაანჩხლებულმა წამოიწია საჯდომიდამ, გაგიჟებით დაიყვირა: garçon, qu'est que tu fais! და ის იყო რომ მივარდნას უპირებდა, ჩავაფრინდი კალთაში და გავაჩერე.

— აბა, მოდი, და მაგათთანა ხალხს კაცურათ მოექეც! სთქვა გულ-ამომჯდარმა პ.........მა. ერთი მითხარით, თქვენი ჭირიმე! ეს სადაური განათლებაა? არაფერი არ მინდა, ნეტავი მაგის თავი ჩვენში მომცა. რათ მინდა სიცოცხლე, ამისთანა საქმე რომ ჩვენში მიქნას! ჩავავლებდი ქოჩორში ხელს და ერთი თუ ორი, ღვთის წყალობა გაქვს, მე მაგას ლაზათიანად შევზულავდი. ხმასაც ვერ ამოიღებდა, და თუ ბუტბუტს დაიწყებდა, ერთ მანეთს კბილებში ვახლიდი და გაჩუმდებოდა. აქ კი რა უნდა ჰქნა კაცმა! აქ „égalité" გახლავთ! სადაც ფეხს არ წაჰკრავ ყველას სახეზე liberté, égalité, fraternité აწერია! აი ეს არის მაგათი თავისუფლება, ერთობა და ძმობა, რომ უფროსების პატივის ცემა არ იციან და გაზრდილობა არა აქვთ!

— ეს კიდევ არაფერი, განაგრძო პოლკოვნიკმა: გუშინ ერთს სერჟანტს ვკითხე: ესა და ეს ქუჩა სად არის მეთქი. იმან გადმომხედა თავის თვალებით და დამიწყო ახსნა, რომ ჯერ ასე სწორათ უნდა წახვიდეო, მერე მარცხნივ მოუხვიეო, იქიდამ მარჯვნივ გაიელი და ის იქნებაო. როდესაც ამას მიხსნიდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, აიღო თავის მურიანი ხელები და თითქო იმის სწორი ვიყავი, მხარზე დამადო! არა, წარმოიდგინეთ, პირდაპირ აიღო, ბატონო, ხელები და ზედ მხარზე შემაწყო! გაგონილა, თქვენი ჭირიმე!...

— კიდევ უკეთესი გითხრათ: იქ, სადაც მუდამ სადილებს ვსჭამ, ორი მოსამსახურე ბიჭია; ესენი ჯერ ჩვენ გვემსახურებიან, მერე, ყველა თავ საჭმელებს რომ მოგვიტანებენ, ჩვენსავე სტოლზე კაშლიან სუფრას, ამოგვიჯდებიან გვერდით და დაიწყებენ სადილის მირთმევას! რასაკვირველია, მე იმათ მოსვენებას არ ვაძლევ, მუდამ ვყვირი garçon, მომიტანე მარილი, ღვინო და სხვა და სხვა, ყოველ წამ ვაგდებ სტოლიდამ, მაგრამ მომიტანენ თუ არა, რასაც ვთხოულობ, ისევ თავის ალაგზე დაბრძანდებიან, თითქო არაფერ შუაში არ იყვნენ!.. მოდი და მოითმინე ამისთანა ცხოვრება! არა, ჩემო ძმაო, მე ამისთანა ხალხში ცხოვრება არ შემიძლია: მე მალე წავალ აქედამ; მაგრამ დაიხსომეთ ჩემი სიტყვა, თუ ამ ფრანცუზებს სიკეთე დაეყაროსთ!

მართლაც რომ ამის შემდგომ პ.....ს დიდი ხანი არ დაუყვია პარიჟში. სამი დღით ლონდონში წავიდა და როცა დაბრუნდა, გამოსათხოვრათ შემოვიდა ჩემთან და უკანასკნელათ იმის სიტყვები ის იყო, რომ „გირჩევ, ისევ ჩვენ დალოცვილ ქვეყანაში დაბრუნდი, თორემ აქ, დამიჯერე, კარგს ვერას დაისწავლიო"!

ამ ნაირათ ამან სამი დღე ვენაში დაჰყო, ერთი კვირა პარიჟში, სამი დღეც ლონდონში და ეხლა, შინ რომ დაბრუნდება, უეჭველია, იტყვის, ევროპა დამივლიაო, საფრანგეთის ხალხი ძალიან დაცემულიაო, გერმანია ყველაფერში ათას წილათ უფრო დაწინაურებულია საფრანგეთზეო, ინგლისი მდიდარი ქვეყანააო დ° სხ. და სხ.

ს. მესხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკმაყოფილებას და მომავალში საუკეთესო იდეალის ძებნას მოასწავებს. რა არის, მაშ, ადამიანისა და ხალხის ცხოვრება, თუ არ ეს შეუწყნარებელი ძებნა საუკეთესო ცხოვრების გასაწყობად და თუ არ იმისთვის მუდმივი, მოუსვენარი ბრძოლა და ფაფხური?! ზაუნძრეველობა სიკვდილის ძმაა და მოძრაობა, მოუსვენრობა, ბრძოლა სიცოცხლის წარმატების დედა-მშობელი.

ერთის შეხედვით კაცს ეგონება, რომ, როგორც ქველ საქმეებში არიან ფრანცუზები გარდამეტებით მოუსვენარნი და მოწინავენი, ისე თავის ქეიფში, მხიარულებაში და უზნეობაშიაცაო. მართლაც არც ერთი ხალხი არ ქეიფობს ისეთის ალტაცებით, ისეთის გულსმოდგინებით, როგორც ფრანცუზი. და ამასთანავე, ერთის შეხედვით, არც ერთი ხალხი არ არის ფრანცუზისთანა უზნეო, იმისთანა გარყვნილი, არც ერთ ხალხში არ არსებობს იმისთანა უზნეო დამოკიდებულება ქალსა და კაცს შუა, ოჯახის და საზოგადოების სხვა და სხვა წვერებს შუა.

მაგრამ, როგორც ზევით გითხარით, ყველა ეს მხოლოთ «ერთის შეხედვით» მოეჩვენება დამკვირვებელ კაცს. მე რომ პირველად აქაური „ბალ-მაბილი“, „ბულპიე“ და სხვა ამისთანა რამეები ვნახე, რომ ვნახე აქაური გამოჩენილი „კანკანი“ და თამაში, მართალი გითხრათ, სოდომ-გომორში, გარყვნილების ჯოჯოხეთში მეგონა ჩემი თავი.

მაგრამ როგორც ამ თამაშობაში, ისე საზოგადოთ ყველა იმათ ერთის შეხედვით უზნეო და გარყვნილ მოქმედებებში მხოლოთ გარეგანი მხარე სჩანს. გარეგანის დაკვირვებით არც ერთი ხალხი არ არის ფრანცუზისთანა გარყვნილი, მაგრამ ეს გარყვნილება იმათ ძვლამდი არ გაჯდომიათ, გულში არ ჩასვლიათ. ინგლისელი, ნემეცი, თუ გარყვნილია ზნეობით, თავიდამ ფეხებამდი ღრმათ, საძაგლად გარყვნილია.

ზოგიერთებისაგან გაიგონებთ, რომ როგორც ამ ზნეობაში არიან ფრანცუზები მსუბუქნი და უფრო „გარედამ მფრინავი“, უფრო ჩაღრმავებულები, აგრეთვე თავის ცხოვრების გაგებაში და სწავლა-მეცნიერებაშიაცო.

ამ უსაფუძვლო აზრის გასამტყუნებლად, ჩვენ შეგვეძლო ასობით და ათასობით ჩამოგვეთვალა იმ პოლიტიკური პირებისა და სწავლულ-მეცნიერების სახელები, რომელნიც საფრანგეთს დაუბადნია და რომელთაც, არა თუ მარტო თავიანთი სამშობლო წასწიეს წინ, არამედ მთელი კაცობრიობის ცხოვრება და მეცნიერება.

აი, ამაში მდგომარეობს ფრანცუზის ხალხის ხასიათის ერთი უდიდესთაგანი ღირსება, რომ ყოველ საქვეყნო კეთილ-შობილურ საქმეს და მეცნიერებას ის მთელის თავის არსებით ეკიდება და სწევს წინ, და ადამიანის თვით უმდაბლესს, უსაძაგლესს მხარეებს კი სიმსუბუქეს შნოს, ლაზათს, გრაციას აძლევს!..

საფრანგეთის პოლიტიკური ცხოვრება ვერსალის ნაციონალურ კრებასთან ტრიალებს. ის ეხლა, დროებით, დაკეტილია, და, დღესასწაულებს გარდა, ეს გარემოებაა კიდევ იმის მიზეზი, რომ პარიჟი და საფრანგეთი ეხლა თავის საზოგადო საქმეებზე ისე გაცხარებით აღარ ლაპარაკობს.

მაგრამ მის ნაცვლად პარიჟი ეხლა ესპანიის უკანასკნელ „პრონუნჩიამენტოზე (სამხედრო რევოლიუციაზე) ლაპარაკობს, რომელიც ასე მოულოდნელად მოხდა.

რასაკვირველია, ტელეგრამმა მოგიტანდათ იმ ამბავს, რომ მადრიდის სამხედრო ღუბერნატორმა, ღენერალმა პავიამ, ამ თვის 4-ს კორტესები (ხალხის წარმომადგენლები) თოფის კონდახებით გამორეკა სასახლიდამ და შესდგა ახალი სამინისტრო, ახალი მმართებლობა, რომლის თავს-მჯდომარედ მონარხიელი ინტრიგანი მარშალი სერრანოა.

ამნაირად, ამედეის გატურების შემდეგ, ეს, მგონი, მეხუთეჯერ იცვლება ესპანიაში მმართებლობის პირები. ამ მმართებლობის ფეხ-მოუდგომელობასთან, ესპანიის შინაგანი ორ-ვარი პარტია არ აძლევს მოსვენებას: ერთის მხრით სოციალური რეფორმების მთხოვნელები (პართაგენში ჩამწყვდეული განდგომილები) და მეორეს მხრით ძველი ბურბონის დინასტიის მომხრენი (კარლისტები).

## იტალია

### ნინო ბიკსიო

ამ ხანებში გარდაიცვალა ერთი უწარჩინებულესი იტალიელი პატრიოტი. ამ თავგანწირულს თავის სამშობლოს თავისუფლებისთვის მებრძოლს ერქვა ნინო ბიკსიო. იტალიაში იშვიათი არ არის მხნე და უანგარო დამცველები თავის ქვეყნის დამოუკიდებლობისა, მაგრამ ნინო ბიკსიო იქაც კი შესამჩნევად პატივსაცემელი და საყვარელი იყო თანამემამულებისაგან.

ბიკსიო ოც და ოცდა ხუთ საშინელ ომში დასწრებია, მაგრამ ტყვიას მისი სასიკვდინოთ მიკარება ვერ გაუბედავს; ეხლა კი გარეშე ქვეყანაში კვდება ის თავის ნებითა. ის თავის დამონებული და დაგლეჯილი ქვეყნის განთავისუფლებას მოესწრო! იმას ამ წმინდა საქმეში დიდი მონაწილეობა და ღვაწლი დაუდვია სამშობლოს წინაშე! ეხლა მას სიკვდილი რაღათ დანანდებოდა? რაღა გულის გამპობი მწუხარება და ეჭვები ჩაჰყვებოდა მას საფლავში, როდესაც ხედვიდა შეერთებულს და მტრისაგან განთავისუფლებულს ძლიერს იტალიას! ამისთანა სიკვდილი აღარ არის სანაღვლო. ბიკსიოს სხვა ბევრს ღირსებებს შორის ერთი ძვირად საპოვნელი სიკეთეც ჰქონდა. ის როგორც გარიბალდი, რომლის მეგობარი და თანამებრძოლი იყო, აგერ ოცდა ათი წელიწადია ყოველთვის სიღარიბეში და გაჭირვებაში იმყოფებოდა, თუმცა შემთხვევა არ კლებია მას, რომ თავის ცხოვრება უზრუნველად გაეწყო. ბიკსიო იყო დეპუტატათ, სარდლათ და სენატორათაც, მაგრამ მის ჯიბას ამის გამო სისქე სრულებით არ მომატებია. მას საშინლად სძულდა ყოველი პატივისცემა, დასაჩუქრება და ქებაც ყველა იმ სამსახურისთვის, რაც იმან თავის სამშობლოსთვის იმოქმედა.

ბიკსიო ამბობდა: „მე ჩემი ქვეყნის წვალებით მაქვს მოცემული სიცოცხლე; ეს სიცოცხლე მასვე ეკუთვნის და კაცმა რომ ვალი გადიხადოს, ეს ან რა დამსახურებაა, ან რა სალაღდებელიაო?!“ აი ამნაირად ესმოდა იტალიელ პატრიოტს სამშობლოს თავისუფლებისთვის მამაცური ბრძოლა.

მკველე.

## ნარევი

ჩრდილოეთის ამერიკის შეერთებულ შტატებში გაუთავებიათ ის ვეება ჰაეროსტატის გაკეთება, რომელზედაც ამას წინათ ორი სიტყვა იყო ნათქვამი „დროებაში“. ეს ჰაეროსტატი წელში ორმოცი მეტრი, იგრგვლივ ას ოცდა ხუთი მეტრი არისო (მეტრი თითქმის ერთი არშინი და ექვს ვერშოკ ნახევარია).

— მადრასის ქალაქში (ინდოეთშია) ერთი ასტრონომიული ობსერვატორიის დირექტორის ქალი, მისს პოგსონი, ინგლისის მმართებლობას ასტრონომოსის თანაშემწედ დაუნიშნავს.

— ერთს იაპონიის ქალაქში ერთი შრომის მოყვარე კაცი ყოფილა. რომელსაც მთელი თავისი ღონე და შრომა თავისი დიდი ოჯახის სარჩენათ დაუდვია. იმას ჰყოლია მეტის მეტად ბოროტი და ანჩხლი ცოლი, რომელიც თურმე მოსვენებას არ აძლევდა; ქმარი ევედრებოდა ცოლს, რომ თავისი გაფუჭებული ზნე როგორმე გაესწორებია; მაგრამ რომ ვერაფერი გააწყო, ბამბუკის წკეპლებით იმისი მოჭკუიანება მოინდომა თურმე. ამითაც რომ ვერას გახდა, იმისი მოწამლვა განიზრახა და კიდეც შეასრულა ეს თავისი სურვილი, ისე რომ არავისთვის არ დაუფარავს. მკვლელი მსაჯულებას მისცეს; მაგრამ იქ იმან თავის მართლება დაიწყო: სთქვა, მე ცოლი მუშაობას და ოჯახის რჩენას მიშლიდა და ამიტომ უთუოდ უნდა მომეკლაო. კანონით ცოლის მოკვლისათვის ქმარი უნდა დაეხრჩოთ; მაგრამ დამნაშავის საბუთი ისე საფუძვლიანად და პატივსადებ მიზეზად დაინახა სამსაჯულომ, რომ ეს გულმართალი კაცი ამ სასჯელისაგან განათავისუფლა, და ჯაჭვით შებორკილება განუჩინა, მაგრამ იმ ნაირად, რომ მუშაობა არ დაუშალოსო.

— წასრული წლის განმავალობაში საფრანგეთში ოცდა რვა ათასი სხვა-და-სხვა წიგნი დაბეჭდილა; აქედგან ზოგი ახალი შეთხზული ყოფილა და ზოგი ხელმეორედ დაუბეჭდავთ.


## Объявленіе.

Считаю долгомъ увѣдомить почтеннѣйшую публику, что на Базарной улицѣ, въ домѣ Тамамшева, около Казенной Палати, я открылъ типографію, гдѣ принимаются всякаго рода типографскіе заказы и работы, которые исполняются весьма оккуратно.

Ефимій Хеладзе.

მაქვს პატივი მოვახსენო პატივცემულ პუბლიკას, რომ ბაზრის ქუჩაში, თამამშოვის სახლებში, კაზიონნი პალატის ახლოს, გავაღე სტამბა, სადაც მიიღება ყოველგვარი სტამბის სამუშაო, რომელნიც ასრულებულ იქნებიან სუფთად და დანიშნულს ვადაზედ.

ექვთიმე ხელაძე.


„დროება“. 1874, № 407

## ცნობათ-ფურცელი

თფილისი, 18 იანვარს 1874 წ.

### რკინის გზა

| ა) თფილისიდამ | დილა | საღამო |
|---|---|---|
| თფილისი | 8.18 | 8.17 |
| მცხეთა | 9.18 | 10.— |
| გორი | 11.39 | 1.43 |
| სურამი | 1.52 | 4.30 |
| ყვირილა | 6.49 | |
| ქუთაისი | 7.55 | |
| სამტრედია | 9.02 | |
| ახალ-სენაკი | 10.02 | |
| ფოთი | 11.27 | |

| ბ) თფილისისკენ | დილა | დილა |
|---|---|---|
| ფოთი | 7.38 | |
| ახალ-სენაკი | 9.11 | |
| სამტრედია | 10.12 | |
| ქუთაისი | 11.17 | |
| ყვირილა | 12.38 | |
| სურამი | 4.57 | 7.15 |
| გორი | 7.23 | 10.12 |
| მცხეთა | 9.52 | 1.49 |
| თფილისი | 10.49 | 3.13 |

| გ) ფასი თფილისიდამ | I კლ. | II კ. | III კ. |
|---|---|---|---|
| მცხეთამდი | 90 | 68 | 38 |
| გორამდი | 3.20 | 2.40 | 1.33 |
| ყვირამდი | 5.22 | 3.92 | 2.18 |
| ქუთაისამდი | 9.— | 6.75 | 3.75 |
| ფოთამდი | 13.1 | 9.75 | 5.42 |

### ცეცხლის გემები

ა) შავ-ზღვაზე

ფოთიდამ გემი მიდის:
ოდესისკენ — ხუთშაფ. შუადღეზე.
სტამბოლს — კვირაობით შუადღეზე.
სოხუმიდამ:
ფოთს — სამშაფათს, ღამე.
ოდესას — პარასკევს, შუადღეზე.

ბ) კასპიის ზღვაზე:

ბაქოდამ გემი მიდის:
ასტრახნისკენ —
ასტრაბადისკენ —

### ტელეგრაფი

ოცი სიტყვის გაგზავნა ტელეგრაფით ღირს თფილისიდამ:

| | მ. | კაპ. |
|---|---|---|
| ქუთაისს, ფოთს | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნახს | — | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას | 3 | — |
| ვენას, ავსტრიაში | 2 | 75 |
| გერმანიაში | 2 | 63 |
| იტალიაში | 3 | 50 |
| საფრანგეთში | 3 | 38 |
| შვეიცარიაში, ოსპალეთში | 3 | — |
| ინგლისში | 4 | — |
| საბერძნეთში | 3 | 25 |
| სპარსეთში | 5 | 76 |

### ფოშტა

ა) თფილისიდამ: რუსეთს: ყოვ. დღეს, კვირას გარდ. ქუთაისს: ყოველ. დღე კვირას გარდ. კახეთს, ზუგდიდს: პარასკ. ოზურგეთს: ორშ., პარ. ბაქოს: სამშაფათს და პარასკ. ალექსანდრეპოლს: ოთხშ. და პარასკევს. (შუადღემდი)

ბ) ქუთაისიდამ: თფილისს და რუსეთს: ორშაფ. ოთხშაფ. და პარასკ. ფოთს და სოხუმს: ორშაფ., ხუთშაფ. და შაფათს. ოზურგეთს, ზუგდიდს და ახალ-სენაკს: ორშაფათობით (საღამომდე.)

გ) გორიდამ. ყოველგან: ორშაფ ოთხშაფ. და პარასკეობით (საღამოს შვიდ საათამდე)

დ) ფოთიდამ: ყოველგან: ყოველდღე.

წიგნის გაგზავნა ღირს:

| | კაპ. |
|---|---|
| ღია წიგნის რუსეთში | 5 |
| დაბეჭდილი წიგნის რუსეთში | 10 |
| საფრანგეთში | 20 |
| გერმანიაში | 14 |
| ინგლისში | 20 |

### ბირჟა

| პეტერბურგი, 4 იანვარს. | ან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბანკის ბილეთი 5% | 96 | — |
| მოგებიანი (პირველი სესხის) | 164 | 50 |
| მოგებიანი (მეორე სესხისა) | 163 | — |
| **კურსი** | | |
| ერთ მანეთში იძლევიან. | | |
| ლონდონში | 32 3/4 | პენ |
| პარიჟში | 345 | სან |
| ვენაში | — | — |
| ესკონტი (სარგებლის ფასი) | 6 3/4 | — |
| გირაოს ფურცლები: | — | — |
| ხერსონის ბანკისა (5 1/2) | 85 | 50 |
| ხარკოვის (6%) | 83 | 50 |
| მოსკოვის (5%) | 88 | 25 |
| **აქციები:** | | |
| შავიზღვის ცეცხ. გემების | 572 | — |
| კავკაზის და მერკურის | 181 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | 128 | — |
| თფილისის სავაჭრო ბანკის | — | — |
| ოდესის სავაჭრო ბანკის | 282 | — |
| „სალამანდრასი“ | 328 | — |
| კამპანიის Двигатель | 100 | — |
| პირვ. უზრუნველ-მყოფი (страх. общ.) საზოგ | 655 | — |
| მეორე უზრუნ. მყოფი საზ. | 190 | — |
| პეტერბ. უზრუნვ. მყოფი | 286 | — |
| მოსკოვის უზრუნვ. მყოფი | 286 | — |

### თფილისის მაზანდა

| 17 იანვარს, 1874 წ. | მან | კაპ |
|---|---|---|
| პური ერევნის | 1 | — |
| — განჯის | 1 | — |
| — შორაგლის | 1 | — |
| ქერი | — | 50 |
| ბამბა ერევნის | 4 | — |
| — ამერიკისა | 5 | 60 |
| გაპენტილი ბამბა | 8 | — |
| მატყლი თუშური | 6 | — |
| — თარაქნული | 4 | — |
| აბრეშუმი | 7 | — |
| ქონი | 4 | — |
| ქონის სანთელი | 6 | — |
| სტეარინის სანთელი | 11 | 20 |
| ხორცი ძროხის | — | 70 |
| — ცხვრის | — | 80 |
| სპირტი | 8 | — |
| შაქარი კარგი | 8 | — |
| — მდარე | 7 | 80 |
| — ფხვნილი | 6 | 20 |
| ყავა გრგვალი | 19 | 50 |
| — საშუალი | 16 | 50 |
| — მდარე | 15 | — |
| ზეთი ქუნჯუთის | 7 | — |
| — მწარე | 4 | — |
| ოქრო ნახევარი იმპერიალი | 6 | 20 |

### სახაზინო განცხადებები

— დიდის თავადის მთავარ-მმართებელის ნება-რთვით „კავკაზიის პრიკაზში“ 18 აპრ. 1874 წ. დანიშნულია ხელმეორეთ ვაჭრობა სხვა და სხვა თფილისელი მცხოვრებლების საკუთარი ქვის შენობების გასასყიდად: ერთი შენობა ისყიდება 600 მანეთის ვალში, მეორე 450 მანეთისაში.

— დიდის თავადის მთავარ-მმართებლის ნება-რთვით შორაპნის და დუშეთის მაზრის სამმართველოში 18 აპრილს 1874 წ. დანიშნულია ვაჭრობა, საჩხერეს, ახატანს და ბულაჩაურს მდებარე ვენახების გასასყიდად.

— 18 აპრილსვე 1874 წ. „კავკაზიის პრიკაზში“ დანიშნულია ვაჭრობა სხვა და სხვა თფილისელი მცხოვრებლების საკუთარი ქვის შენობების გასასყიდად. ერთის საკუთრება ისყიდება 92 ათასი მანეთის ვალში, მეორესი — 3 ათასისაში, მესამის — 17,482-ში, მეცამეტე 6 ათასი მანეთის ვალში, მეთხუთმეტე — 12,400-ში. სხვა იაფად დაგირავებული შენობებზედ დაწვრილებითი ცნობები ნახე კავკაზში (ნახე „კავკაზის“ № 7 დამატებაში).

Дозволено цензурою. Тифлисъ, 18 Января 1874 г. მელიქიშვილის და ამხ. სტამბა გამომცემელნი ს. მელიქიშვილი და ს. მესხი.—დროებითი რედაქტორი კ. ლორთქიფანიძე.